SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

აგრარული
უნივერსიტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლა
სურსათის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება
სურსათის ტექნოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია
სურსათის ტექნოლოგიის მაგისტრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით
120 ECTS

სწავლების ენა
ქართული

პროგრამის მიზანი
სურსათის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მაგისტრი, რომელსაც ექნება სურსათის წარმოების ტექნოლოგიის სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის სურსათის წარმოების პროცესებისა და აპარატების, სურსათის ფიზიკური და ქიმიური კომპონენტების, ბიოლოგიური პარამეტრებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდების სიღრმისეულ სწავლებას. ამასთან ერთად, პროგრამა მიზნად ისახავს, რომ კურსდამთავრებულებმა დამოუკიდებლად შეიმუშაონ და/ან განავითარონ სასურსათო პროდუქტები კონკრეტული ბაზრის ან კვების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, სამომხმარებლო ტენდენციებისა და მარეგულირებელი მოთხოვნების ინტეგრირებით, ექსპერიმენტული დიზაინისა და სენსორული შეფასების ტექნიკის გამოყენებით.

კურსდამთავრებულს შეეძლება კვლევების დამოუკიდებლად წარმართვა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ასევე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობა და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება.

დასაქმების სფეროები

- სურსათის მრეწველობის საწარმოები
- სურსათის უვნებლობის მაკონტროლებელი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები
- სამეცნიერო–კვლევითი ცენტრები, ინსტიტუტები და შესაბამისი პროფილის ლაბორატორიები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები
- შეუძლია გახდეს დამსაქმებელი და თვითონ დაიწყოს პროდუქტის წარმოება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სურსათის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის კვალიფიკაცია. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

მაგისტრანტობის კანდიდატების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის 224/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის თანახმად:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა) რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში.

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული).

დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების შემდეგი წინაპირობები:

- კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის (გასაუბრების ფორმით) წარმატებით გავლა

პროგრამის სწავლის შედეგები

სურსათის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებული:

1. საფუძვლიანად იცნობს სურსათის ტექნოლოგიის სფეროს განვითარების ტენდენციებს და თანამედროვე მიღწევებს.
2. იღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებებს სურსათის წარმოების სრული ციკლის განხორციელებისას.
3. საზღვრავს სურსათის და მისი შემადგენელი კომპონენტების ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ და ხარისხობრივ პარამეტრებს როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე კვლევის მეთოდებით.
4. აყალიბებს პროდუქტებისა და ტექნოლოგიის განვითარების (მოდიფიცირების და/ან ახლის შექმნის) პრაქტიკულ გზებსა და შესაძლებლობებს.
5. საქმიანობაში ხელმძღვანელობს ეროვნული და საერთაშორისო მარეგულირებელი დოკუმენტებითა და სტანდარტებით როგორც წარმოებული პროდუქციის უვნებლობის უზრუნველსაყოფად, ისე მომხმარებლისთვის სწორი ინფორმაციის მისაწოდებლად.
6. აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე წარადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით შექმნილ კვლევითი ხასიათის ნაშრომს.
7. იყენებს საინჟინრო-ტექნოლოგიურ და მენეჯერულ კომპეტენციებს სამუშაო გარემოს სამართავად და სურსათის წარმოებაში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, ანალიზი. ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები, როგორიცაა საშინაო დავალებები, ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, ანგარიშები, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – 91-100 ქულა
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა
(C) კარგი – 71-80 ქულა
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა
(E) საკმარისი – 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ზოგადი მოდული
- სურსათის ტექნოლოგიის სპეციალობის განათლება
- თავისუფალი არჩევითი საგნები
- სამაგისტრო ნაშრომი

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული სასწავლო გეგმა.

ადამიანური და მატერიალური რესურსები

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.